



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

სატრენინგო კურსი

“გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზარალის აღდგენითი ღონისძიებების განსაზღვრა და შეფასება და აღდგენის გეგმის მომზადება”

2022 წლის 4-8 ივლისი

ჩატარების ადგილი: გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების
ცენტრი, საკონფერენციო ცენტრი
საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მარშალ გელოვანის გამზირი #6, თბილისი 0159, საქართველო

დამატებითი დაუკავშირდეთ (Olga.OLSON@oecd.org) (Mari.LAIKRE@oecd.org).	ინფორმაციისთვის ოლგა ან მარი	გთხოვთ ოლსონს ლაიკრეს
---	------------------------------------	-----------------------------

Action implemented by:



სატრენინგო კურსი
“გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზარალის აღდგენითი ღონისძიებების განსაზღვრა
და შეფასება და აღდგენის გეგმის მომზადება”

2022 წლის 4-8 ივლისი

საერთო ინფორმაცია

საწყისი ინფორმაცია

საქართველომ 2021 წელს მიიღო კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად. ეს კანონი მიზნად ისახავს გარემოსთვის მიყენებული ზიანისათვის დამბინძურებლებისთვის ფულადი პასუხისმგებლობის დაკისრებას, ისევე როგორც მათ მიერ ასეთი ზიანის გამოსწორების მოთხოვნას. კანონი მოიცავს დებულებებს მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ზიანის შეფასების შესახებ. დამბინძურებელ სუბიექტებს მოეთხოვებათ შეადგინონ სარეაბილიტაციო გეგმები, რომელთა განხორციელებას ზედამხედველობას გაუწევს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (გზდ). გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებს სპეციალური ფონდის შექმნას, რომლის მიერ მოხდება შემოსული თანხების დახარჯვა გარემოს რემედიაციის ღონისძიებებზე. გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებს სახიფათო საქმიანობის მწარმოებელი ოპერატორებისთვის ფინანსური უზრუნველყოფის მოპოვების ვალდებულებას.

ამჟამად საქართველოს მთავრობა კანონქვემდებარე აქტებისა და ზიანის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესშია.

ახალ კანონს შემოაქვს არაერთი კონცეფცია, რაც სიახალეს წარმოადგენს როგორც ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობისა ასევე პრაქტიკოსებისთვის, რის შედეგადაც შეიძლება გაიზარდოს ცნობიერება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონის თაობაზე.

ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და რეზულტატები

პრაქტიკული ტრენინგი “გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზარალის აღდგენითი ღონისძიებების განსაზღვრა და შეფასება და აღდგენის გეგმის მომზადება” მიზნად ისახავს შემდეგ ამოცანებს:

- ცნობიერების ამაღლებას გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივის შესახებ (ELD) და მისი გამოყენების პრაქტიკაზე ევროკავშირის ქვეყნებში, მათ შორის განიხილოს წარმატების ფაქტორები და შესაძლო გამოწვევები;
- ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების დადგენის, დახასიათების და შეფასების უნარის გაუმჯობესებას;
- ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლების რემედიაციის სხვადასხვა ტექნოლოგიების დანერგვას.

მონაწილეები

კურსს გაუძღვება იტალიის გარემოს დაცვისა და კვლევის ეროვნული ინსტიტუტის (ISPRA) ორი პროფესიონალი თანამშრომელი.

იგი ძირითადად განკუთვნილია სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტების ტექნიკური ექსპერტებისთვის, ასევე სამინისტროს და სხვა გარემოსდაცვითი მარეგულირებელი ორგანოების ხელმძღვანელობისთვის.

კურსმა ასევე შეიძლება დააინტერესოს აკადემიური წრეების სხვა სამთავრობო ორგანოების წარმომადგენლები, ასევე გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები, სამრეწველო ობიექტების მფლობელები, კერძო საკონსულტაციო სააგენტოები და გარემოსდაცვითი სფეროს სხვა პროფესიონალები.

EU4Environment პროექტის შესახებ

პროექტი „ევროკავშირი გარემოსთვის“ (EU4Environment) მიზნად ისახავს დაეხმაროს ექვს პარტნიორ ქვეყანას: სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელარუსს¹, საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკას და უკრაინას შეინარჩუნონ თავიანთი ბუნებრივი კაპიტალი და გაზარდონ ადამიანების გარემოსდაცვითი კეთილდღეობა. რისი მიღწევაც შესაძლებელია გარემოსთან დაკავშირებული ქმედების მხარდაჭერით და მწვანე ზრდის შესაძლებლობების დემონსტრირებით და გახსნით და ამავდროულად გარემოსდაცვითი რისკებისა და ზემოქმედების უკეთ მართვის მექანიზმების დაწესებით.

აქციას აფინანსებს ევროკავშირი და ახორციელებს ხუთი პარტნიორი ორგანიზაცია: ეთგო (OECD), გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპაში (UNECE), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP), გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) და მსოფლიო ბანკი, ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 20 მილიონ ევროს. აქციის განხორციელების პერიოდია 2019-2022 წლები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: EU4Environment@oecd.org.

¹ ამჟამად ბელარუსთან არ წარმოებს არავითარი თანამშრომლობა

სატრენინგო კურსი
“გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზარალის აღდგენითი ღონისძიებების განსაზღვრა
და შეფასება და აღდგენის გეგმის მომზადება”
 2022 წლის 4-8 ივლისი

ტრენინგის პროგრამა

კურსის აღწერილობა

გარემოსთვის ზარალის მიყენება და ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება შეიძლება გამოწვეული იყოს მთელი რიგი საქმიანობით, მაგალითად, ურბანული, სამრეწველო, სამთო და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებით. ზოგიერთმა „ეკოლოგიურმა“ საქმიანობამაც კი, როგორიცაა ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები ან ნარჩენების გადამუშავების ობიექტები, არასწორად მართვის შემთხვევაში, შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ბუნებრივი გარემოს დაბინძურება, ზოგიერთ შემთხვევაში აღდგენითი ღონისძიებები კარგად არის განხორციელებული და დოკუმენტირებული.

აღნიშნული ტრენინგ კურსი გვაცნობს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მექანიზმს და მის გამოყენებას ევროკავშირის ქვეყნებში; აღწერს, თუ როგორ დავახასიათოთ ნიადაგისა და წყლის დაბინძურება სხვადასხვა წყაროებიდან; როგორ შევაფასოთ დაბინძურების რისკები რისკის შეფასების სტანდარტული მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს ობიექტზე ვიზიტის ე.წ. კონცეპტუალურ მოდელს (დაბინძურების წყარო – გადატანის გზები – ზემოქმედების ობიექტები). განხილული იქნება ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლების რემედიაციის სხვადასხვა ტექნოლოგია. განხილულ იქნება გარემოსდაცვითი პრობლემების დაძლევის სხვადასხვა სტრატეგიები დეგრადირებულ ურბანულ, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ლანდშაფტებთან მიმართებაში, ასევე ფონური მნიშვნელობების გამოთვლაში, იმ შემთხვევაში როდესაც დამაბინძურებლები წარმოდგენილი არიან სხვადასხვა ბუნებრივ გარემოში.

თეორიულ სწავლებას დაემატება პრაქტიკული სავარჯიშო და სავსლესი დაბინძურებულ ობიექტზე.

ინსტრუქტორები

მარკო ფალკონი, აღდგენითი ღონისძიებების მენეჯერი, ISPRA



მარკო ფალკონის აქვს მაგისტრის ორი ხარისხი, გარემოსდაცვით მეცნიერებაში (2001) და გეოლოგიაში (2010), რომლებიც მიღებული აქვს იტალიის ქალაქ ურბინოს უნივერსიტეტში. იგი მუშაობს ISPRA-სთან 2003 წლიდან. მისი ძირითადი საქმიანობის სფერო ISPRA-ში არის იტალიის ეკოლოგიის სამინისტროს (IMET) მხარდაჭერა დახასიათების გეგმების, რისკების ანალიზის, სამელიორაციო პროექტების, მონიტორინგის გეგმების და გადაუდებელი უსაფრთხოების ზომების ტექნიკური კონტროლის დარგში იტალიის ეროვნული პრიორიტეტების სიაში აღნიშნულ 42 დაბინძურებულ ობიექტთან დაკავშირებით. იგი რამდენიმე მოხსენებისა და სახელმძღვანელოს ავტორია მიწისა და დაბინძურებული ობიექტების მართვის თემაზე იტალიური და საერთაშორისო ინსტიტუტების მონაწილეობით. იგი გახლავთ ევროკავშირის გარემოსდაცვითი სამართლის განხორციელებისა და აღსრულების ქსელის (IMPEL) ექსპერტთა ჯგუფის „წყალი და მიწა“ ლიდერი, ნიადაგის ეროვნული საცნობარო ცენტრის (NRC) სახით ევროპული გარემოს შესახებ ინფორმაციისა და დაკვირვების ქსელის (EIONET) წევრი. ის ამჟამად თანამშრომლობს და ასევე წარსულში თანამშრომლობდა ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლების სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტებთან, როგორცაა ევროპის გარემოს სააგენტო (EEA), ევროკომისია, ერთობლივი კვლევის ცენტრი, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) და ასევე იტალიის და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან.

ფრანჩესკო ანდრეოტი, გარემოსდაცვითი ტექნოლოგი (დღე 1)



ფრანჩესკო ანდრეოტი არის გარემოს დაცვის ინჟინერი და აქვს მაგისტრის ხარისხი ენერგეტიკისა და გარემოს მართვაში. იგი ISPRA-ში 2004 წლიდან მუშაობს. იგი გახლავთ იტალიაში ELD-ის განხორციელებისა და აღსრულების უფროსი ექსპერტი. მას ასევე აქვს შესაბამისი გამოცდილება პროექტების მართვასა და კოორდინაციაში (იყო IMPEL-ის ექსპერტთა დისციპლინათაშორისი გუნდის ლიდერის მოადგილე, IMPEL-ის პროექტის „გარემოსდაცვითი ზიანის შეფასების კრიტერიუმების“ მენეჯერი, „იტალიის გარემოს დაცვის ეროვნული სისტემის“ სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი“ (SNPA), აგრეთვე ასწავლიდა და კონსულტაციებს ატარებდა იტალიაში გარემოსდაცვითი კანონების (სამრეწველო დაბინძურება, გარემოსდაცვითი ინსპექტირება, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა) აღსრულების და განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით (ISPRA და SNPA, კარაბინერები, სამაგისტრო კურსები) და ასევე მონაწილეობდა საერთაშორისო პროექტებშიც. როგორც ISPRA-ს წარმომადგენელი ევროკავშირის ELD სამთავრობო ექსპერტთა ჯგუფში ჩართული იყო ევროკავშირის და საერთაშორისო ინსტიტუტების არაერთ საერთაშორისო მისიაში და კოლაბორაციაში. ხელმძღვანელობდა ტვინინგისა და EuropeAid-ის პროექტებს სერბეთში, მონტენეგროში და რუმინეთში.

დღე 1: ევროკავშირის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის შესავალი

ორშაბათი, 2022 წლის 4 ივლისი

აღწერილობა

1-ელ დღეს ყურადღება დაეთმობა ევროკავშირის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის გაცნობას და ასევე ევროკავშირის წევრი ქვეყნების ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია გარემოსთვის მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად, განსაკუთრებით მისი დადგენის და შეფასების კუთხით.

დრო	საკითხი
09:00-09:15	მონაწილეთა რეგისტრაცია
09:15-09:30	შესავალი სიტყვები • ბ-ნი კრშიშტოფ მიშალაკი, პროგრამის უფროსი მენეჯერი მწვანე ზრდისა და გლობალური ურთიერთობების სამმართველო, ეთგო-ს გარემოს დაცვის დირექტორატი: შესავალი სიტყვა • ბატ. ალექსანდრე დარასი, ატაშე, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვის და კლიმატური ცვლილებების ჯგუფის ლიდერი, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში: შესავალი სიტყვა • ქ-ნი ნინო თანდიაშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე: საქართველოს კანონის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ და სხვა საკანონმდებლო პროცესების წარდგენა
09:30-10:00	მომხსენებელთა წარდგენა და მონაწილეთა გაცნობა (მარკო ფალკონი)
10:00-11:00	ევროკავშირში გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ ძირითადი კანონმდებლობის მიმოხილვა (ფრანჩესკო ანდრეოტი, დისტანციურად)
11:00-11:15	<i>შესვენება ყავით</i>
11:15-13:15	გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის შემოღებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევების მიმოხილვა (ფრანჩესკო ანდრეოტი, დისტანციურად)
13:15-14:15	<i>სადილი</i>
14:15-16:00	გარემოსდაცვით პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული წარმატებების და წარუმატებლობების მიმოხილვა ევროპული ქვეყნების გამოცდილებიდან (ფრანჩესკო ანდრეოტი, დისტანციურად)
16:00-16:15	<i>შესვენება ყავით</i>
16:15-17:45	გარემოსთვის მიყენებული ზარალის დადგენა/შეფასება (ფრანჩესკო ანდრეოტი, დისტანციურად)
17:45-18:00	ტესტი (მრავალჯერაღიანი არჩევანი) და შესწორება (მარკო ფალკონი) კითხვა-პასუხი
18:00	1-ლი დღის დასასრული

მე-2 დღე: დახასიათება
სამშაბათი, 2022 წლის 5 ივლისი

აღწერილობა

მე-2 დღის ამოცანაა მყარი ქანის და წყლის გარემოების გარემოსდაცვითი ხარისხის დასადგენად გამოყენებული ყველაზე გავრცელებული ტექნოლოგიების წარგენა. ტრენინგი აგრეთვე მიმოიხილავს აერიფორმების (გაზისებრი) გაზომვის ტექნიკას (აეროლადი დამაბინძურებლების მაგ. ბენზინი, ვერცხლისწყალი, ქლორშემცველი გამხსნელები) და ყველაზე მაღალი გარჩევადობის დახასიათების მეთოდებს, რომლებიც გვეხმარებიან დამაბინძურებლების განაწილების უკეთ გაგებაში.


დრო	საკითხი
09:00-11:00	დაბინძურებული ობიექტის დახასიათების პროგრამის ოპტიმიზაცია და დიზაინი
11:00-11:15	შესვენება ყავით
11:15-12h15	მყარი გარემოს სინჯების აღების მეთოდები (ნიადაგი, დანალექები და ტალახი)
12h15-13:15	წყლის გარემოს სინჯების აღების მეთოდები (მიწისქვეშა წყლები, ზედაპირული წყლები, ჩამდინარე წყლები)
13:15-14:15	სადილი
14:15-16:00	გაზისებრი გარემოს სინჯების აღების მეთოდები (ნიადაგის გაზის კვლევა, ემისიის კამერა)
16:00-16:15	შესვენება ყავით
16:15-17:45	დაბინძურებული ობიექტის სინჯების ანალიზის მოწინავე მეთოდები და ხელსაწყოები (ობიექტის მაღალი გარჩევადობის დახასიათება)
17:45-18:00	ტესტი (მრავალფარიანტული არჩევანი) და შესწორება კითხვა-პასუხი
18:00	მე-2 დღის დასასრული

მე-3 დღე: რისკების შეფასება
ოთხშაბათი, 2022 წლის 6 ივლისი

აღწერილობა

მე-3 დღე მიეძღვნება რისკების შეფასებას, რაც დაგვეხმარება იმის გაგებაში თუ როდის წარმოადგენს დამაბინძურებლების არსებობა სერიოზულ რისკს (ELD, article 2, letter 1c) და ასევე რემედიაციის ღონისძიებების ზღვრული კონცენტრაციების დადგენაში, რომლებსაც ობიექტ-სპეციფიკური ზღვრული კონცენტრაციები (SSTL) ეწოდება. აღნიშნული რისკების შეფასება ემყარება ობიექტის კონცეპტუალურ მოდელს (დაბინძურების წყარო, გადატანის გზები, ზემოქმედების აქტიური ობიექტები). რისკების შეფასება გვეხმარება რემედიაციის უსარგებლო ღონისძიებების თავიდან აცილებაში, რომლის დროსაც მოუწევთ საკუთარი რისკების შეფასების განხორციელება.

დრო	საკითხი
09:00-10:00	რისკების შეფასების ობიექტის კონცეპტუალურ მოდელი
10:00-11:30	რისკების შეფასების ობიექტ-სპეციფიკური პარამეტრები
11:30-11:45	შესვენება ყავით
11:45-13:00	რისკების გათვლა ობიექტ-სპეციფიკური ზღვრული დონეების განსაზღვრა
13:00-13:15	ტესტი (მრავალფარიანტული არჩევანი) და შესწორება კითხვა-პასუხი
13:15-14:15	სადილი
14:15-15:50	<u>პრაქტიკული სავარჯიშო</u> <u>პრაქტიკული სავარჯიშო</u> სრულდება კომპიუტერზე და აგებულია რეალურ კაზუსზე რისკების შესაფასებლად (სირთულე: მარტივი, ბენზინგასამართი სადგური დაბინძურებულია ბენზინის გაჟონვით) შენიშვნა: აუცილებელია იქონიოთ კომპიუტერი ამ სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფის ჩამოსატვირთად. კომპიუტერული პროგრამა არსებობს მხოლოდ ინგლისურ ენაზე.
15:50-16:00	შესვენება ყავით
16:00-18:00	<u>პრაქტიკული სავარჯიშო</u> <u>პრაქტიკული სავარჯიშო</u> სრულდება კომპიუტერზე და აგებულია რეალურ კაზუსზე რისკების შესაფასებლად (სირთულე: რთული, მაღარო დაბინძურებულია მბიმე ლითონებით) შენიშვნა: აუცილებელია იქონიოთ კომპიუტერი ამ სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფის ჩამოსატვირთად. კომპიუტერული პროგრამა არსებობს მხოლოდ ინგლისურ ენაზე.
18:00	მე-3 დღის დასასრული



მე-4 დღე: რემედიაციის მეთოდები
ხუთშაბათი, 2022 წლის 7 ივლისი

აღწერილობა

ის რემედიაციის ეტაპი მოიცავს ყველა აქტივობას, რომელიც აუცილებელია დაბინძურებულ ობიექტზე დამაბინძურებლების ზღვრული კონცენტრაციის მისაღწევად. ეს მეთოდები შეიძლება იყოს ბიოლოგიური, ქიმიურ-ფიზიკური და თერმული, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული გარემოდან გამომდინარე. რემედიაციის სწორი მეთოდის არჩევა მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი პრობლემის გადასაჭრელად დაჩქარებულ ვადებში, როგორც ამას მოითხოვს ELD დირექტივის II დანართის მუხლი 1.2.1.

მე-4 დღის დილას საუბარი შეეხება ნიადაგის აღდგენის მეთოდებს, ხოლო დღის მეორე ნახევარში ყურადღება გამახვილდება მიწისქვეშა წყლების რემედიაციის მეთოდებზე. გარკვეული დრო დაეთმობა რემედიაციის მეთოდების სიღრმისეულად შესწავლას და მათი მდგრადობის ასპექტების გათვალისწინებას.

დრო	საკითხი
09:00-10:30	ნიადაგის რემედიაციის მეთოდები
10:30-11:30	ნიადაგის ანაორთქლის გამოყოფა (SVE), თეორია, საპილოტე შესწავლა და სრულმასშტაბიანი განხორციელება
11:30-11:45	შესვენება ყავით
11:45-13:00	ნიადაგის გარეცხვა, თეორია, საპილოტე შესწავლა და სრულმასშტაბიანი განხორციელება
13:00-14:00	სადილი
14:00-15:30	მიწისქვეშა წყლების რემედიაციის მეთოდები
15:30-16:15	In Situ ქიმიური ოქსიდაცია (ISCO), თეორია, საპილოტე შესწავლა და სრულმასშტაბიანი განხორციელება
16:15-16:30	შესვენება ყავით
16:30-17:00	მრავალ-ფაზიანი გამოყოფა, თეორია, საპილოტე შესწავლა და სრულმასშტაბიანი განხორციელება
17:00-17:45	მწვანე და მდგრადი რემედიაცია
17:45-18:00	ტესტი (მრავალფარიანტული არჩევანი) და შესწორება კითხვა-პასუხი
18:00	მე-4 დღის დასასრული

მე-5 დღე: ადილზე გასვლა, ფონური დაბინძურება და საბოლოო შეფასება
პარასკევი, 2022 წლის 8 ივლისი

აღწერილობა

მე-5 დღის დილა ეძღვნება გასვლას კომპანიაში “RMG Copper”, მის მიერ ჩატარებული სარემედიაციო ღონისძიებების გასაცნობად. დღის ბოლოს მონაწილეებს გადაეცემათ კურსის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატები.

დრო	საკითხი
08:45-16:30	გასვლითი ვიზიტი კომპანიაში RMG Copper, კაზრეთი, ბოლნისის მუნიციპალიტეტი (განრიგში მითითებული დროები წინასწარია) 08:45 – შეკრება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრში (EIEC) 09:00 - გამგზავრება 09:00-11:00 მგზავრობა (ავტობუსით) 11:00 – 12:00 ობიექტის მენეჯერის პრეზენტაცია 12:00-13:00 კომპანიის მონახულება 13:00-13:15 ჯგუფური ფოტო 13:15-14:30 სადილი 14:30-16:30 უკან გამომგზავრება
16:30-17:00	უკუკავშირი და დასკვნითი შენიშვნები
17:00-17:30	კურსის სერტიფიკატების გადაცემა
17:30	მე-5 დღის დასასრული